GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

24 Nisan/ აპრილი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 688.6	6671.9	10.1%	17.3 %	5.3 %

Gürcistan Başbakanı AGİT Başkanı İle Görüştü

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ეუთოს თავმჯდომარეს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili ile Avrupa Güvenlik ve İşbirliği Teşkilatı Dönem Başkanlığını yürüten, Kuzey Makedonya Dışişleri Bakanı Sn. Bujar Osmani'nin görüşme sırasında AGİT Dönem Başkanı ülkesiyle uluslararası işbirliğinin aktüel konuları ve Gürcistan tarafından Avrupa Birliği'ne entegrasyon yolunda kaydedildiği ilerlemesi esas ele alınacak mevzular arasındaydı.

Hükümet İdaresinde yerini almış görüşmede iki ülke arasındaki verimli işbirliği daha da derinleştirmek için hazır bulunmaları ifade edildi. AGİT Başkanlık görevi yaptığı sırasında Kuzey Makedonya Dışişleri Bakanı'nın ziyaretinin önemi vurgulandı.

Gürcistan'ın işgal altındaki bölgelerine de değinildi. Sn. Irakli Garibashvili Sn. Bujar Osmani'ye Gürcistan'ın egemenliği ve toprak bütünlüğünü desteklediği için teşekkürlerini sundu.

Başbakan AGİT Başkanıyken Kuzey Makedonya tarafından ilan edilmiş öncelikleri uygun gördü.

Görüşmeye Kuzey Makedonya'nın AGİT Daimi Misyonu Başkanı Sn. Igor Djundev, Kuzey Makedonya'nın AGİT Daimi Misyonu Başkan Yardımcısı Sn. Adelina Marku, AGİT Dönem Başkanı Güney Kafkasya Özel Temsilcisi Sn. Viorel Moşanu, Gürcistan Dışişleri Bakanı Sn. Ilia Darchiashvili, Hükümet İdaresi Başkanı Sn. Revaz Javelidze ile Gürcistan'ın Avusturya Cumhuriyeti Olağanüstü ve Tam Yetkili Büyükelçisi, AGİT ve diğer uluslararası örgütlerde Gürcistan'ın daimi temsilcisi Sn. Ketevan Tsikhelashvili katılmışlardır.

ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანასთან საერთაშორისო თანამშრომლობის აქტუალური საკითხები და საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის, ჩრდილოეთ მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბუიარ ოსმანის შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავების მზადყოფნა გამოითქვა. ხაზი გაესვა ეუთოს

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

თავმჯდომარეობის პერიოდში ჩრდილოეთ მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის მნიშვნელობას.

საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. ირაკლი ღარიბაშვილმა ბუიარ ოსმანის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

პრემიერ-მინისტრი მიესალმა იმ მნიშვნელოვან პრიორიტეტებს, რომლებიც ეუთოს თავმჯდომარეობის პერიოდში ჩრდილოეთ მაკედონიის მხრიდან არის გაცხადებული.

შეხვედრას ესწრებოდნენ ჩრდილოეთ მაკედონიის მუდმივი წარმომადგენელი ეუთოში იგორ ჯუნდევი, ეუთოში ჩრდილოეთ მაკედონიის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ადელინა მარკუ, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ვიორელ მოშანუ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ქეთევან ციხელაშვილი.

Başbakan Müslüman Toplumu Onuruna İftar Verdi

პრემიერმა მუსლიმი თემის პატივსაცემად იფთარი გამართა

Başbakan Sn. Irakli Garibashvili Gürcistan Müslüman Toplumu onuruna İftar verdi.

İftara Dini Konular Devlet Dairesi Başkanı Sn. Zaza Vashakmadze, Batı Gürcistan Müslümanları Müftüsü Sn. Adam Shantadze, Gürcistan Müslümanları Dairesi Şeyhi Sn. Hacı Ramin İgidov, Doğu Gürcistan Müslümanları Müftüsü Sn. Etibar Eminov ile kordiplomatik temsilcileri katıldılar.

Hükümet Başkanı'nın belirttiği gibi, Gürcistan tarihsel olarak farklı dini inançları olan insanların beraber yaşadığı, barışsever bir ülke ve hoşgörülülük merkezidir.

Başbakan'ın söylediği gibi, ülkemiz Müslüman Toplumunun beraberliği açısından da seçkindir.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მუსლიმი თემის პატივსაცემად იფთარი გამართა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

იფთარს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, დასავლეთ საქართველოს მუფთი ადამ შანთაძე, საქართველოს მუსლიმთა შეიხი რამინ იგიდოვი, აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი ეტიბარ ემინოვი და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველო არის ისტორიულად მშვიდობიანი, რელიგიური თანაცხოვრების, თანაარსებობის ქვეყანა და ტოლერანტობის ცენტრი.

პრემიერის თქმით, ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია მუსლიმი თემის ერთობის თვალსაზრისითაც.

Gürcistan İle İtalya Arasında Üst Düzey Diyalog Kurulmasına Dair Ortak Bildiri İmzalandı

საქართველოსა და იტალიას შორის გაფორმდა ერთობლივი დეკლარაცია მაღალი დონის დიალოგის დაფუძნების შესახებ

Gürcistan ile İtalya Cumhuriyeti arasında üst düzey diyalog kurulmasına dair ortak bildiri imzalandı.

21 Nisan 2023 tarihinde Gürcistan Dışişleri Bakanı Sn. Ilia Darchiashvili ile İtalya Cumhuriyeti Dışişleri ve Uluslararası İşbirliği Bakanı Sn. Antonio Tajani Gürcistan ile İtalya Cumhuriyeti arasında üst düzey diyalog kurulmasına dair ortak bir bildiri imzaladılar.

Dokümanda taraflar Gürcistan-İtalya'nın ikili ilişkilerinde 1992 yılından bu yana kaydedilmiş ve mevcut işbirliği gündemini güçlendirmek ve çeşitlendirmek için sağlam bir temel oluşturan ciddi bir ilerlemeyi itiraf etmektedirler.

Üst düzey diyalog iki ülke arasındaki dinamik bir işbirliği yansıtmaktadır ve yeni ortaklık perspektiflerini ortaya koyacaktır.

საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკას შორის გაფორმდა ერთობლივი დეკლარაცია მაღალი დონის დიალოგის დაფუძნების შესახებ.

2023 წლის 21 აპრილს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა და იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრმა ანტონიო ტაიანიმ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკას შორის მაღალი დონის დიალოგის დაფუძნების შესახებ.

დოკუმენტში მხარეები აღიარებენ საქართველო-იტალიის ორმხრივ ურთიერთობებში 1992 წლიდან მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს, რაც ქმნის არსებული თანამშრომლობის დღის წესრიგის გაძლიერებისა და გამრავალფეროვნების მყარ საფუძველს.

მაღალი დონის დიალოგი ასახავს ორ ქვეყანას შორის დინამიკურ თანამშრომლობას და გამოავლენს პარტნიორობის ახალ პერსპექტივებს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Başbakan Yardımcısı ABD İhracat İdaresi Ticaret Bakan Yardımcısı İle Görüştü

ვიცე-პრემიერი აშშ-ის კომერციის მდივნის თანაშემწეს ექსპორტის საკითხებში შეხვდა

Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili ABD İhracat İdaresi Ticaret Bakan Yardımcısı Sn. Thea Rozman Kendler ile görüştü.

İkili ticari ve ekonomik ilişkilerinin öncelikli yönlerinin ele alındığı bir görüşmede, Gürcistan ile ABD arasında artan ticari bilançosu ve ayrıca ABD'den Gürcistan'a yapılan yatırımlarının artışı olumlu olarak değerlendirildi. Belirtildiği gibi, 2022'de Gürcistan'a yatırım yapan ülkeler arasında ABD 3. Sırada yerini aldı, en büyük ticaret ortağı ülkeler arasında ise 7. sıradadır.

Gürcistan'ın uluslararası yaptırımların uygulanması sürecinde aldığı kararlarına ve uluslararası ortaklarla yakın koordinasyonuna değinildi. Amerikan tarafı Gürcistan Devletine bu yönde attığı adımları olumlu olarak değerlenip teşekkürlerini sundu. Toplantıda ayrıca uluslararası yaptırımların uygulanması için müttefiklerle ve ortaklarla koordinasyon halinde çalışmanın önemi vurgulandı.

Taraflar enerji, sivil havacılık, deniz taşımacılığı, ticaret, telekomunikasyon ve bilişim teknolojileri ve diğer sektörlerde ikili işbirliğini ele aldılar.

ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი აშშ - ის კომერციის მდივნის თანაშემწეს ექსპორტის საკითხებში თეა როზმან ქენდლერს შეხვდა.

შეხვედრაზე, სადაც ორმხრივი სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს, დადებითად შეფასდა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაზრდილი სავაჭრო ბალანსი და ასევე აშშ - დან საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ზრდა. როგორც აღინიშნა, 2022 წელს საქართველოს ინვესტორ ქვეყნებს შორის აშშ - ს მე-3, ხოლო უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ სახელმწიფოთა შორის მე-7 ადგილი უკავია.

საუბარი შეეხო საერთაშორისო სანქციების აღსრულების პროცესში საქართველოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მათ მჭიდრო კოორდინაციას საერთაშორისო პარტნიორებთან. ამერიკულმა მხარემ მადლობა გადაუხადა და დადებითად შეაფასა საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ამ მიმართულებით. შეხვედრაზე აგრეთვე ხაზი გაესვა მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ერთად კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობას საერთაშორისო სანქციების აღსრულების მხრივ.მხარეებმა ასევე ისაუბრეს ორმხრივ თანამშრომლობაზე ენერგეტიკის, სამოქალაქო ავიაციის, საზღვაო ტრანსპორტის, ვაჭრობის, ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა სექტორებში.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Başbakan ABD Dışişleri Müsteşar Yardımcısı İle Görüştü

პრემიერ-მინისტრი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწეს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili ABD Dışişleri Müsteşar Yardımcısı Sn. Erika Olson ile görüştü. Hükümet İdaresinde yerini alan görüşmede iki ülke arasındaki stratejik ortaklığı ele alındı. Çeşitli alanlarda işbirliği daha da güçlendirmesinin önemi vurgulandı.

Sn. Irakli Garibashvili ile Sn. Erika Olson bölge ve dünyadaki güvenlik ortamı da değerlendirmiş oldular. Bu doğrultuda Başbakan tarafından başlatılan Güney Kafkasya Barış ve Komşuluk Girişimi'nin önemi vurgulandı.

Ayrıca Avrupa Birliği'ne entegrasyon yolunda Gürcistan tarafından kaydedilmiş somut bir ilerlemeye değinildi.

Buluşmaya ABD'nin Gürcistan Maslahatgüzarı Sn. Rian Harker Harris, Gürcistan Dışişleri Bakanı Sn. Ilia Darchiashvili ile Hükümet İdaresi Başkanı Sn. Revaz Javelidze katıldılar.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწეს ერიკა ოლსონს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა განიხილეს. ხაზი გაესვა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ერიკა ოლსონმა ასევე მიმოიხილეს რეგიონსა და მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების გარემო. ამ მიმართულებით ხაზი გაესვა პრემიერ-მინისტრის მიერ ინიციირებული სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო-სამეზობლო ინიციატივის მნიშვნელობას.

საუბარი ასევე შეეხო ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ ხელშესახებ პროგრესს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მისიის ხელმძღვანელის მოადგილე რაიან ჰარისი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Ilia Darchiashvili Roma'da Gürcü Alfabesine Adanmış Sergiye Katıldı

ილია დარჩიაშვილი ქ. რომში ქართული ანბანისადმი მიძღვნილ გამოფენას დაესწრო

20 Nisan 2023 tarihinde İtalya Cumhuriyeti'nde iş ziyaretinde bulunan Dışişleri Başkanı Sn. Ilia Darchiashvili Floransa Sarayı'nın tarihi binasında, hattat ve ressam Sn. Giorgi Sisauri'nin eserlerin sergilendiği Gürcü Alfabesine adamış sergiye, "Cennetin Dokunuşu"na katıldı.

Sergi çerçevesinde 38 büyük harf ve 19 dini konulu görüntüleri sergilenmişti.

Etkinlik Vatikan'daki Gürcistan Büyükelçiliği'nin tarafından organize edilip "Dante Alighieri Derneği"nin desteklemesiyle düzenlendi.

Sergiye kordiplomatik üyeleri, Roman Curia ile Gürcü diasporası temsilcileri katıldılar.

2023 წლის 20 აპრილს იტალიის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი, ილია დარჩიაშვილი, ფლორენციის სასახლის ისტორიულ შენობაში, ქართული ანბანისადმი მიძღვნილ გამოფენას "სამოთხის შეხება" დაესწრო, სადაც წარმოდგენილი იყო კალიგრაფისა და მხატვრის, გიორგი სისაურის ნამუშევრები.

გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილი იყო 38 საზედაო ასოსა და 19 რელიგიურ თემაზე შექმნილი გამოსახულება.

ღონისძიება წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და „დანტე ალიგიერის საზოგადოების" მხარდაჭერით გაიმართა.

გამოფენას დიპლომატიური კორპუსის, რომის კურიისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

“Starring Georgia” Başlıyor

„Starring Georgia“ იწყება

“Black Sea Arena” Gürcistan’da geniş çaplı bir kampanya “Starring Georgia”ya başlatıyor.
Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili’nin aldığı kararına göre, “Black Sea Arena” Gürcistan’da geniş çaplı bir kampanya “Starring Georgia”ya başlatıyor. Kampanyanın amacı Gürcistan’ın popülerleştirmesi, turistik, ekonomik ve kültürel potansiyelinin güçlendirmesidir.
Yeni kampanya kapsamında konserler “Black Sea Arena”nın yanı sıra, Shekvetili, Tiflis ve diğer konumlarda da verilecektir.

Aşağıdaki etkinlikler halihazırda anons edilmiştir:

„Nile Rodgers & Chic“ / 5 Ağustos / „Black Sea Arena“/Front Stage
„FKJ“ / 6 Ağustos / „Black Sea Arena“/Front Stage
„Damian Lazarus“ / 10 Ağustos / „The Social Space“
„The Killers“ / 15 Ağustos /„Black Sea Arena“
„All Day I Dream“ / 18 Ağustos / „The Social Space“
„Imagine Dragons “/ 31 Ağustos / „Mikheil Meskhi Stadium“

Planlanan konserler için bilet satışı 24 Nisan’dan itibaren, BSA.ge web sitesinde kademeli olarak başlanacaktır.

„Black Sea Arena“ საქართველოში მასშტაბურ კამპანიას, „Starring Georgia-ს“ იწყებს.
საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, „Black Sea Arena“ საქართველოში მასშტაბურ კამპანიას - „Starring Georgia“ - იწყებს. კამპანიის მთავარი მიზანი ქვეყნის პოპულარიზაცია, საქართველოს ტურისტული, ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის გაძლიერებაა.

ახალი კამპანიის ფარგლებში, „Black Sea Arena-ს“ სცენის გარდა, კონცერტები შეკვეთილში, თბილისსა და სხვა ლოკაციებზე ჩატარდება.
უკვე დაანონსებულია შემდეგი ღონისძიებები:

„Nile Rodgers & Chic“ / 5 აგვისტო / „Black Sea Arena“/Front Stage
„FKJ“ / 6 აგვისტო / „Black Sea Arena“/Front Stage
„Damian Lazarus“ / 10 აგვისტო / „The Social Space“
„The Killers“ / 15 აგვისტო /„Black Sea Arena“
„All Day I Dream“ / 18 აგვისტო / „The Social Space“

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI ᲘᲛᲔᲑᲐᲜᲙᲘ İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

„Imagine Dragons “/ 31 აგვისტო / „Mikheil Meskhi Stadium“

დაგეგმილი კონცერტების ბილეთების გაყიდვა 24 აპრილიდან ეტაპობრივად, ვებგვერდზე - BSA.ge - დაიწყება.

Gürcistan’ın Dış Ticareti Ocak- Mart 2023
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2023 წლის იანვარი-მარტი

Ocak- Mart 2023’te Gürcistan'ın dış ticaret cirosu 4 783.7 milyon ABD doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %22.1 olarak daha fazladır. İhracat 1 461.5 milyon ABD doları (Büyüme %24.7), ithalat ise- 3 322.2 milyon ABD doları (Büyüme %21.0) olmuştur. 2023 yılında Ocak- Mart ayların negatif ticaret bilançosu 1 068.6 milyon ABD Dolara ulaşarak dış ticaret cirosunun %38.9’unu teşkil etmiştir.
2023 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 4 783.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.1 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1 461.5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 24.7 პროცენტით), ხოლო იმპორტი 3 322.2 მლნ. აშშ დოლარს (გაიზარდა 21.0 პროცენტით).

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2023 წლის იანვარ-მარტში, 1 860.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 38.9 პროცენტია.

Ocak- Mart 2023’te Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ortağın payı %67.9’i teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları aşağıdaki gibidir: Türkiye (673,7 milyon dolar), Rusya (666,9 milyon dolar) ve Çin (376,0 milyon dolar)2023 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67.9 პროცენტი



ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (673.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (666.9 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (376.0 მლნ. აშშ დოლარი).

Ocak- Mart 2023'te Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %80.9 olarak gerçekleşti. En büyük 10 ticaret ortağı listesini aşağıdaki tabloda görebilirsiniz:

2023 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საიმპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

Ermenistan / სომხეთი	$ 216 862.5
Azerbaycan/აზერბაიჯანი	$ 180 666.5
Rusya / რუსეთი	$ 176 916.7
Çin / ჩინეთი	$ 133 332.7
Kazakistan/ყაზახეთი	$ 122 195.7
Türkiye / თურქეთი	$ 105 011.5
Kırgızistan/ყირგიზეთი	$ 95 984.9
Bulgaristan / ბულგარეთი	$ 86 155.3
Peru / პერუ	$ 39 666.0
İspanya/ესპანეთი	$ 25 327.0
Diğer / სხვა	$279 410.3

2023 yılın Ocak- Mart aylarında Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %69.4 olarak gerçekleşmişti. En büyük 10 ticaret ortağı listesini aşağıdaki tabloda görebilirsiniz:

2023 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.4 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საიმპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Türkiye / თურქეთი	$ 568 694.2
Rusya / რუსეთი	$ 338 824.6
ABD / აშშ	$ 261 806.5
Çin / ჩინეთი	$ 242 691.0
Almanya / გერმანია	$ 205 296.7
Azerbaycan/აზერბაიჯანი	$ 193 241.3
Ermenistan / სომხეთი	$ 104 611.6
Japonya/იაპონია	$ 84 677.3
İtalya/იტალია	$ 79 036.4
Birleşik Arap Emirlikleri/არაბთა გაერთიანებული საამიროები	$ 76 222.2
Diğer / სხვა	$ 1 015 925.0



Covid İle İlgili Kısıtlamalar Kaldırdıktan Sonra Çin Ekonomisi Beklenenin Üzerinde, %4.5 Büyüdü

კოვიდ-შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ჩინეთის ეკონომიკა მოსალოდნელზე მეტად, 4.5%-ით გაიზარდა

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Yıl Başından Beri Bakü-Tiflis-Ceyhan Petrol Boruyla 19 000 Tondan Daha Fazla Kazak Petrolü Taşındı

წლის დასაწყისიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით 19 ათას ტონაზე მეტი ყაზახური ნავთობი გადაიქაჩა

Devlet Çevreyi Çirkinleştiren ve Sağlığa Zararlı Olan Binaları Yıkmayı Planlıyor

სახელმწიფო იმ შენობების დემონტაჟს გეგმავს, რომელიც გარემოს ამახინჯებს და ჯანმრთელობისთვის საშიშია

Azerbaycan Doğalgazı İhracatında Gürcistan İlk Sıradadır

აზერბაიჯანული გაზის ექსპორტში საქართველო პირველ ადგილზეა

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Gürcistan'ın Dış Borcu Bir Ay İçinde 208.504 Milyon Dolar Arttı

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ თვეში 208.504 მლნ დოლარით გაეზარდა

Toplu Taşıma Araçlarının %68.2'sinde Teknik Denetimi Asla Yapılmamıştır

საზოგადოებრივი ტრანსპორტის 68.2%-ს ტექინსპექტირება არასდროს გაუვლია

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.5105 TRY/GEL – 0.1292 EUR/GEL – 2.7533 GBP/GEL – 3.1085

USD/GEL

10 - 24 Nisan 2023



USD/TR

10 - 24 Nisan 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

TRY/GEL

10 - 24 Nisan 2023

BTC – 28 320 5

10 - 24 Nisan 2023

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
ᲘᲛᲔᲜᲘᲘ İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING